საინფორმაციო ბიულეტენი

საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

იანვარი-აპრილი

2024

ადვოკატთა ასოციაციაში დარგობრივი სპეციალიზაციის სისტემის პრეზენტაცია გაიმართა

ადვოკატთა ასოციაციამ მიუნხენის ლუდვიგ მაქსიმილიანის უნივერსიტეტის საადვოკატო სამართლის ინსტიტუტსა და გერმანულ-ქართული სამართლის ინსტიტუტთან პარტნიორობით, ადვოკატთა დარგობრივი სპეციალიზაციის სისტემის დანერგვა დაიწყო.

დარგობრივი სპეციალიზაციის სისტემა ნებაყოფლობითობის პრინციპს ეფუძნება და სამართლის სხვადასხვა ვიწრო მიმართულებაში ადვოკატებისთვის სიღრმისეული კვალიფიკაციის მინიჭებას ისახავს მიზნად. აღნიშნული, იურიდიული სერვისების ხარისხის ამაღლების გზით. ხელს შეუწყობს საქართველოში ხარისხიანი მართლმსაჯულების განხორციელებას.

ღონისძიების ფარგლებში საქართველოს ადვოკატთა ასოციაციამ მიუნხენის ლუდვიგ მაქსიმილიანის უნივერსიტეტის საადვოკატო სამართლის ინსტიტუტსა და გერმანულ-ქართულ სამართლის ინსტიტუტებთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმა, რომელიც საქართველოში ადვოკატთა დარგობრივი სპეციალიზაციის სისტემის წარმატებით განხორციელებას შეუწყობს ხელს.

პირველად საქართველოში-ადვოკატთა ასოციაციამ ინგლისური სამართლის ფორუმს უმასპინძლა

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციისა და ინგლისისა და უელსის სამართლის საზოგადოების თანამშრომლობის ფარგლებში ადვოკატთა ასოციაციამ ინგლისური სამართლის ფორუმს უმასპინძლა. ფორუმი საქართველოში დიდი ბრიტანეთის საელჩოს მხარდაჭერით ჩატარდა.

ფორუმის ფარგლებში მონაწილეებმა საერთაშორისო სამართალთან დაკავშირებული საკითხები განიხილეს, როგორებიცაა: კომერციული სამართალი, ინტელექტუალური საკუთრების უფლებები, დავის ალტერნატიული გადაწყვეტა და სხვ. ასევე მიმოიხილეს დიდი ბრიტანეთის პრაქტიკა.

ინგლისური სამართლის ფორუმი საქართველოში პირველად ტარდება და იურიდიული პროფესიის წარმომადგენლებს აერთიანებს დიდი ბრიტანეთიდან და საქართველოდან.

ინგლისური სამართლის ფორუმის მიზანია ფორუმმა მომავალში უფრო მასშტაბური სახე მიიღოს და შექმნას პლატფორმა, რომელიც დარგის ექსპერტების მონაწილეობით, მნიშვნელოვან სამართლებრივ საკითხებზე სადისკუსიოდ რეგიონის სხვა ქვეყნების ჩართულობასაც უზრუნველყოფს.

ინგლისური სამართლის ფორუმის ფარგლებში ბრიტანელმა იურისტებმა შეხვედრები გამართეს

ინგლისური სამართლის ფორუმის ფარგლებში, რომელსაც ადვოკატთა ასოციაციამ უმასპინძლა, ბრიტანელი ადვოკატებისა და მოსამართლეებისგან შემდგარმა დელეგაციამ ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელ დირექტორთან, გიორგი ჭეხანთან ერთად შეხვედრები გამართა საქართველოს ბიზნეს ასოციაციის, იუსტიციის სამინისტროს, ანტიკორუფციული ბიუროსა და პროკურატურის ხელმძღვანელ პირებთან.

შეხვედრების ფარგლებში საუბარი შეეხო საქართველოში არსებულ ბიზნეს რეგულაციებს, საინვესტიციო გარემოს, ბიზნეს დავების განხილვის კუთხით არსებულ მდგომარეობას და საქართველოს მართლმსაჯულების სისტემასთან დაკავშირებულ სხვა აქტუალურ საკითხებს.

მხარეებმა, ასევე განიხილეს ინგლისური სამართლის უპირატესობები და საქართველოს სამართლის სისტემაში მისი პოპულარიზაციისა და დანერგვის პერსპექტივები. აღნიშნული მიმართულებით ინგლისელმა კოლეგებმა აქტიური მხარდაჭერის მზადყოფნა გამოთქვეს და მხარეები სამომავლო თანამშრომლობაზე შეთანხმდნენ.

საქართველოს უზენაეს სასამართლოში ნაფიც მსაჯულთა იმიტირებული სასამართლოს ეროვნული ჩემპიონატის ფინალი გაიმართა

ფინალური შეჯიბრი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდებს შორის შედგა. ჩემპიონატი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამარჯვებით დასრულდა. გამარჯვებულ გუნდთან ერთად, ასევე, გამოვლინდნენ გამარჯვებული მონაწილეები ნომინაციებში - საუკეთესო შესავალი სიტყვა, საუკეთესო დასკვნითი სიტყვა, საუკეთესო პირდაპირი დაკითხვა და საუკეთესო ჯვარედინი დაკითხვა. პროცესებს უზენაესი სასამართლოსა და თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეები უძღვებოდნენ.

ნაფიც მსაჯულთა იმიტირებული სასამართლოს ეროვნული ჩემპიონატის ფარგლებში ორი თვის განმავლობაში ტრენინგები და შიდასაუნივერსიტეტო იმიტირებული სასამართლო პროცესები 11 უნივერსიტეტში პარალელურად მიმდინარეობდა. პროექტში სულ 22-მა გუნდმა მიიღო მონაწილეობა.

ჩემპიონატის მონაწილე გუნდებს წინასწარ შემუშავებული შეფასების ფურცლის კრიტერიუმების დაცვით, ფასილიტატორები აფასებდნენ. დაცვის გუნდს ადვოკატთა ასოციაციის ადვოკატები, ხოლო, ბრალდების გუნდს საქართველოს პროკურატურის პროკურორები.

ჩემპიონატი აღნიშნული მასშტაბით საქართველოში პირველად ჩატარდა და ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შესახებ ცნობიერების ამაღლებას ისახავს მიზნად. პროექტი ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს (INL) მხარდაჭერით განხორციელდა,

სამუშაო შეხვედრა

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციამ, USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის ფარგლებში, საქართველოს სახალხო დამცველისა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად, საქართველოში მართლმსაჯულების სისტემაში არსებული გამოწვევების განხილვის მიზნით სამუშაო შეხვედრა გამართა.

შეხვედრის მონაწილეებს მისასალმებელი სიტყვით მიმართეს: ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარემ - დავით ასათიანმა, USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის ხელმძღვანელმა - გიორგი ჩხეიძემ, საქართველოს სახალხო დამცველმა - ლევან იოსელიანმა და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარემ - ნონა ქურდოვანიძემ.

შეხვედრის ფარგლებში მონაწილეებმა მართლმსაჯულების სისტემაში არსებულ გამოწვევებზე იმსჯელეს, ასევე, განიხილეს მართლმსაჯულების სფეროსთან მიმართებით ევროკომისიის რეკომენდაციების შესრულების საკითხი. შეხვედრის დასასრულს მსჯელობა წარიმართა ერთობლივ სამომავლო გეგმებთან დაკავშირებით.

მსგავსი შეხვედრები მართლმსაჯულების თემაზე მომუშავე აქტორებს შორის თანამშრომლობის გაღრმავებას ისახავს მიზნად.

მართლმსაჯულების საკოორდინაციო საბჭოს მმართველი კომიტეტის შეხვედრა გაიმართა

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარისა და გენერალური პროკურორის მონაწილეობით, მართლმსაჯულების საკოორდინაციო საბჭოს მმართველი კომიტეტის შეხვედრა გაიმართა.

მმართველმა კომიტეტმა, მართლმსაჯულების საკოორდინაციო საბჭოს ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებები მიმოიხილა და სამომავლო განვითარების გეგმების შესახებ იმსჯელა.

მმართველი კომიტეტის შეხვედრაში, სამართლის დარგების შესაბამისად, მონაწილეობა მიიღეს მოსამართლეებმა, ადვოკატებმა და პროკურორებმა, რომელთაც სამართალწარმოების პროცესში არსებულ გამოწვევებზე ისაუბრეს. აღნიშნულის საფუძველზე, მმართველმა კომიტეტმა განსაზღვრა და დაამტკიცა ის საკითხები, რომელთან დაკავშირებითაც მიმდინარე წლის განმავლობაში მართლმსაჯულების საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრები გაიმართება.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში ახალი, ორწლიანი პროექტის პრეზენტაცია გაიმართა

2024 წლის 25 იანვარს, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში, USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის მიერ მხარდაჭერილი ახალი, ორწლიანი პროექტის პრეზენტაცია გამართა. პროექტი საქართველოში იურიდიული პროფესიისა და მართლმსაჯულების სისტემის გაძლიერებას ისახავს მიზნად. დაგეგმილია აქტივობები, განგრძობადი იურიდიული განათლების მიმართულებით, ასევე, გაიმართება ბენჩ-ბარები და სხვადასხვა მნიშვნელოვანი ღონისძიება ადგილობრივ და რეგიონულ დონეებზე. პროექტის ფარგლებში, შემუშავდება ასოციაციისთვის პრო-ბონო სისტემის კონცეფცია და მოხდება ეთიკის კომისიის გაძლიერება.

შეხვედრაზე ადვოკატთა ასოციაციის წარმომადგენლებმა USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის მხარდაჭერით, 2022-2023 წლებში განხორციელებულ პროექტზე ისაუბრეს, რომლის ფარგლებშიც მოხდა ასოციაციის თემატური კომიტეტების ორგანიზაციული და ანალიტიკური შესაძლებლობების განვითარება. ჩატარდა მართლმსაჯულების საკოორდინაციო საბჭოს (Bench-Bar) შეხვედრები, რაც მნიშვნელოვანი ნაბიჯია კანონის უზენაესობისა და მართლმსაჯულების განხორციელების ხარისხის უზრუნველსაყოფად. პროექტი ასევე, მოიცავდა ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის ობიექტურად და გამჭვირვალედ ადმინისტრირების კუთხით ასოციაციის შესაძლებლობების განვითარებას. მათ შორის შემუშავდა ანალიტიკური დოკუმენტი სასამართლოში საქმეთა ნაკადების მართვასთან დაკავშირებით და ასევე ასოციაციის მიერ პირველი და მეორე ინსტანციის მოსამართლეობის კანდიდატების შეფასების კრიტერიუმები და მექანიზმი.

ადვოკატთა ასოციაციაში კვლევის პრეზენტაცია გაიმართა თემაზე: სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობა შრომით ურთიერთობებში

ადვოკატთა ასოციაციაში კვლევის პრეზენტაცია გაიმართა სახელწოდებით „სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობა შრომით ურთიერთობებში“, რომელიც ამერიკის სოლიდარობის ცენტრის პროგრამის მხარდაჭერით ადვოკატთა ასოციაციის შრომის სამართლის კომიტეტმა ჩაატარა.

ღონისძიების მონაწილეებს მისასალმებელი სიტყვით მიმართეს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარემ, დავით ასათიანმა და ამერიკის სოლიდარობის ცენტრის პროგრამის დირექტორმა საქართველოში, სტანისლავ ჩენიუხმა.

კვლევის ფარგლებში გამოიკითხა შრომის საკითხებზე მომუშავე 100 - მდე ადვოკატი და გამოიკვეთა ისეთი პრობლემები როგორებიცაა: შრომით დავებზე ბაჟის გადახდის საკითხი, შრომითი დავების ხანგრძლივობა და სხვა.

კვლევის შედეგად კომიტეტმა, ასევე, შეიმუშავა რეკომენდაციები, რომლებიც კანონმდებლობის გაუმჯობესებას, სხვადასხვა საკითხზე ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებასა და შრომის სასამართლოების შექმნას ითვალისწინებს.

დავით ასათიანი კონფერენციაში მონაწილეობდა სახელწოდებით: გავხადოთ მართლმსაჯულება ყველასთვის თანაბრად ხელმისაწვდომი

დავით ასათიანი USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის მიერ ორგანიზებულ კონფერენციაში მონაწილეობდა სახელწოდებით: გავხადოთ მართლმსაჯულება ყველასთვის თანაბრად ხელმისაწვდომი.

ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარემ სამართალწარმოებაში მართლმსაჯულების სისტემის წარმომადგენლების როლს გაუსვა ხაზი და ადვოკატურის, დამოუკიდებლობისა და თვითრეგულირების უზრუნველყოფის მნიშვნელობაზე ისაუბრა.

ღონისძიება ამერიკის შეერთებული შტატების საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში რობინ ლ. დანიგანმა გახსნა.

მართლმსაჯულებაზე თანაბარი ხელმისაწვდომობისა და მოწყვლადი თემების გაძლიერების მიზნით, მონაწილეებმა საქართველოში არსებული სამართლის უზენაესობის ტენდენციები, მიღწევები და ინსტიტუციების გაძლიერების საუკეთესო პრაქტიკა მიმოიხილეს. შეხვედრაზე ხაზი გაესვა ადამიანის უფლებების კუთხით არსებულ გამოწვევებსა და მიღწევებს, მათ შორის - ბავშვთა, ქალთა, ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების უფლებების დაცვის მიმართულებით.

ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელმა დირექტორმა მე-5 სომხურ-ქართულ სამართლებრივ ფორუმზე ქართულ ადვოკატურაზე ისაუბრა

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი, გიორგი ჭეხანი ერევანში გამართულ მე-5 სომხურ-ქართულ სამართლებრივ ფორუმში ქართულ დელეგაციასთან ერთად მონაწილეობს.

გიორგი ჭეხანმა ფორუმის მონაწილეებს ადვოკატთა ასოციაციის მიერ იურიდიულ პროფესიაში ბოლო პერიოდში განხორციელებული რეფორმები გააცნო. ასევე ისაუბრა დამოუკიდებელი და ძლიერი იურიდიული პროფესიის როლზე სამართლის უზენაესობის განმტკიცების, დემოკრატიულ საზოგადოების განვითარებისა და ადამიანის უფლებების დაცვის პროცესში.

ფორუმი ორდღიანია და ორი ქვეყნის საადვოკატო სფეროს, იუსტიციის სამინისტროების, საგამოძიებო ორგანოების, საარბიტრაჟო ინსტიტუტებისა და სხვა იურიდიული პროფესიების წარმომადგენელთათვის თანამშრომლობის გაღრმავებასა და გამოცდილების გაზიარების ისახავს მიზნად.

ადვოკატთა ასოციაციამ სახალხო დამცველს უმასპინძლა

ადვოკატთა ასოციაციამ სახალხო დამცველს, ლევან იოსელიანსა და მის მოადგილეს, თამარ გვარამაძეს უმასპინძლა.

ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარემ, დავით ასათიანმა და აღმასრულებელმა დირექტორმა, გიორგი ჭეხანმა სტუმრებს ასოციაციაში იურიდიული პროფესიის გაძლიერების მიმართულებით განხორციელებული და მიმდინარე რეფორმები გააცნეს. საუბარი, ასევე, შეეხო სახალხო დამცველის საქმიანობასა და ქვეყანაში ადამიანის უფლებების დაცვით კუთხით არსებულ მდგომარეობას.

შეხვედრის ფარგლებში მხარეებმა, მართლმსაჯულების სისტემის რეფორმისა და კანონის უზენაესობის განმტკიცების მიზნით ურთიერთთანამშრომლობის შესაძლებლობები და ფორმატები განიხილეს.

ადვოკატთა ასოციაციამ მსოფლიო იურისტთა ასოციაციისა და მსოფლიო სამართლის ფონდის ხელმძღვანელებს უმასპინძლა

ადვოკატთა ასოციაციამ მსოფლიო იურისტთა ასოციაციის (WJA) აღმასრულებელ დირექტორს, თეოდორა თომას და მსოფლიო სამართლის ფონდის საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის (WLF) დირექტორს, ტერეზა დელ რიეგოს უმასპინძლა. სტუმრებს ასოციაციის საქმიანობა დავით ასათიანმა გააცნო.

შეხვედრაზე მხარეებმა ორგანიზაციების თანამშრომლობის ფორმატსა და სამომავლო გეგმებზე ისაუბრეს.

საერთაშორისო ორგანიზაციების ხელმძღვანელ პირებთან შეხვედრა საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტთან (SEU) თანამშრომლობით შედგა.

ეთიკის კომისიის და აპარატის იურისტებისთვის ტრენინგი ჩატარდა თემაზე: პროცესის მართვის ტექნიკას და გადაწყვეტილების დასაბუთება

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ორგანიზებითა და USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის მხარდაჭერით, ეთიკის კომისიის წევრებისა და აპარატის იურისტებისთვის სამუშაო შეხვედრა ჩატარდა თემაზე: პროცესის მართვის ტექნიკა და გადაწყვეტილების დასაბუთება.

შეხვედრის მონაწილეებს მისასალმებელი სიტყვით მიმართეს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ - კონსტანტინე გელაშვილმა და USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის ხელმძღვანელმა - გიორგი ჩხეიძემ.

შეხვედრაზე ისეთი საკითხები განიხილეს, როგორებიცაა ნეიტრალური არბიტრის მნიშვნელობა, მხარეებთან კომუნიკაცია, საქმის გადაწყვეტის უფლებამოსილების მასშტაბი, პროცესის მართვის ტექნიკები და გადაწყვეტილების დასაბუთების სტანდარტები.

ტრენინგს თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე, ქეთევან მესხიშვილი უძღვებოდა.

ადვოკატთა ასოციაციის დეპარტამენტების წარმომადგენლებისთვის ტრენინგი ჩატარდა

USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის მხარდაჭერით საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ანალიტიკური და საკომიტეტო საქმიანობის დეპარტამენტის, ეთიკის კომისიის, ადმინისტრაციული დეპარტამენტისა და სასწავლო ცენტრის თანამშრომლებისათვის ერთდღიანი ტრენინგი ჩატარდა თემაზე: თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის თავისებურებები და მეთოდოლოგიური საფუძვლები.

ტრენინგი თეორიული და პრაქტიკული კომპონენტისგან შედგებოდა და მოიცავდა ისეთ საკითხებს, როგორებიცაა:

- თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის მეთოდოლოგიური საფუძვლები;
- თვისებრივი კვლევის დიზაინები, შერჩევა და ეთიკის საკითხები;
- თვისებრივი კვლევის მეთოდები.

ტრენინგს ექსპერტი - მარიამ დალაქიშვილი უძღვებოდა.

ადვოკატთა ასოციაციის საფეხბურთო გუნდმა საერთაშორისო ჩემპიონატზე წარმატებით იასპარეზა!

ადვოკატთა ასოციაციის საფეხბურთო გუნდმა ადვოკატებს შორის ევროპის ჩემპიონატში (Mundiavocat Europe Football Cup for Lawyers) მიიღო მონაწილეობა.

გუნდმა წარმატებული მატჩების შედეგად ნახევარფინალში გადასვლა შეძლო და უკან მოიტოვა ისეთი გუნდები როგორებიცაა: საფრანგეთი, ესპანეთი, იტალია, ბელგია და სხვ.

საბოლოოდ ადვოკატთა ასოციაციის გუნდი 13 გუნდს შორის მე-4 ადგილზე გავიდა.

ასოციაციის გუნდის წევრი, ნიკა ნანობაშვილი კი ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელად დასახელდა.